CU თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის დეკლარაცია (EDI)

“მრავალფეროვნება ფაქტია,
თანასწორობა არჩევანი,
ინკლუზიურობა არის მოქმედება.
....”

–არტურ ჩენი

პრეამბულა

განათლებას, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც პიროვნული და სოციალური განვითარების ქვაკუთხედი, სულ უფრო მეტად განიხილავენ თანასწორობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის მიღწევა უნივერსიტეტების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მეტი სწავლისა და ცხოვრებაში მეტის მიღწევის საყოველთაო შესაძლებლობა კი მეტად განათლებული და სამართლიანი გლობალური საზოგადოების შექმნის ქვაკუთხედია. საზოგადო თანხმდება, რომ სწავლა უნდა სცდებოდეს სოციალური, ეკონომიკური და ფიზიკური ბარიერების ფარგლებს და თითოეულ ინდივიდს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობას აძლევდეს, რაც განათლებაში ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განათლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს; ის (დეკლარაცია) და განსაკუთრებით მისი 26-ე მუხლი, ამტკიცებს, რომ უმაღლესი განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამსახურების საფუძველზე, რითიც საგანმანათლებლო თანასწორობის გლობალურ სტანდარტს ქმნის.

ბოლო წლებში ევროპის ქვეყნები საყოველთაო პირობას დებენ, რომ კოლეჯისა და საუნივერსიტეტო ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახდება და მასში ყველა თავის კუთვნილ ადგილს იპოვის. ევროპაში გაისმის პოლიტიკური დაპირებები უმაღლეს განათლებაში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის გაღრმავების შესახებ, რასაც საფუძველი დაუდო ევროკავშირის წევრი ქვეყნების 2015 წლის მარტის პარიზის დეკლარაციამ, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა შექმნისა და ღირებულებების დამკვიდრების საშუალებად განათლებას მიიჩნევს. 2015 წლის ერევნის კომუნიკემ და ბოლონიის პროცესის 2018 წლის პარიზის კომუნიკემ მეტი აქცენტი მიმართა უმაღლესი განათლების სოციალურ ასპექტებზე. ევროკავშირის პოლიტიკაში სოციალური ინკლუზია 2017 წელს შევიდა და ინტეგრირდა ევროკომისიის უმაღლესი განათლების დღის წესრიგში, რაც თანხვედრაშია ინტეგრაციის გაძლიერების „ევროპულ სოციალურ საყრდენთან“. გენდერული თანასწორობა დიდი ხანია მოექცა „ევროპის კვლევის ზონის“ ყურადღების ცენტრში. ამ მხრივ მსოფლიოს მასშტაბით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა - 2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით“ 2030 წლისთვის მსოფლიო უკეთეს ადგილად გადაქცევის პირობა დადო. მისი მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ყველასთვის განათლების

თანაბარი შესაძლებლობებს შექმნის, შემცირდება უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის და ყველას თანაბარი მოპყრობა ექნება გარანტირებული.

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ხაზს უსვამს „ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის“ კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გეგმების შედგენას სტუდენტების სპეციფიკური ინტერესებისა და აკადემიური ცოდნის მიხედვით. მასში ხაზგასმითაა საუბარი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობაზე, აკადემიურ თავისუფლებაზე სწავლებაში, სწავლასა და კვლევაში. ამასთან, კანონი მოითხოვს სტუდენტების სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და ინკლუზიური გარემოს შექმნას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის სათანადო პირობების შექმნაზე, რაც მრავალფეროვნებისა და უმაღლესი განათლების სისტემაში ყველას ჩართვის საწინდარია. საკანონმდებლო ბაზა შესაბამისობაშია პრინციპებთან, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში მრავალფეროვანი, ხელმისაწვდომი და ხელშემწყობი საგანმანათლებლო ლანდშაფტის ჩამოყალიბებას.

ამასთან, საქართველომ განახორციელა სპეციალური სამთავრობო პროგრამები სოციალური და სწავლის სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისა და ოკუპირებული ტერიტორიების სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები სტუდენტების მეტი ხელშეწყობისთვის. ეს ინიციატივები ცხადყოფს ინკლუზიურობისადმი პროაქტიული დამოკიდებულების არსებობას; ეს ინიციატივები ასევე აღიარებს, რომ სტუდენტები სხვადასხვა გარემოებაში განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან. ითვალისწინებს რა, სპეციალურ სასწავლო და სოციალურ საჭიროებებსა და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებთა უნიკალურ გარემოებებს, ეს სამთავრობო პროგრამები ხელს უწყობს უფრო სამართლიანი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ასეთი ჰოლისტიკური მიდგომა ემთხვევა საქართველოს უმაღლესი განათლების ლანდშაფტის მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ფართო მიზნებს. საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა (QA) და მისი „მრავალფეროვნებასა და ინკლუზიასთან“ შესაბამისობა ხორციელდება ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებით. ავტორიზაციის (ინსტიტუციური აკრედიტაცია) სტანდარტი 3.2 ხაზს უსვამს სხვადასხვა მოთხოვნის, საჭიროების და აკადემიური მზაობის გათვალისწინების აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სტანდარტი 7.1 მოითხოვს გარემოს ადაპტაციას სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მდგომარეობის შესაბამისად. დამხმარე ინსტრუმენტების გათვალისწინება სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (SSEN) სტუდენტებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. ამასთან, აკრედიტაციის 3.1 სტანდარტი აქცენტს აკეთებს საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასა და როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტუდენტების განთავსებაზე. ეს მრავალკომპონენტიანი მიდგომა ასახავს ვალდებულებას და თავდადებას ხელი შეუწყოს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას და უზრუნველყოს ყველა სტუდენტის ჩართვა უმაღლეს განათლებაში მთელი საქართველოს მასშტაბით.

სოციალურ მრავალფეროვნებასა და უთანასწორობაზე მიმდინარე ინტენსიური დისკუსიები ცხადყოფს განათლების, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების, გადამწყვეტ როლს ინკლუზიურობის უზრუნველყოფაში. ამავდროულად, მთელ მსოფლიოში აკადემიური

ლანდშაფტები ვითარდება და იცვლება დემოგრაფიული ცვლილებებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი განვითარების ფონზე. სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება აკადემიური დაწესებულებების სტუდენტური კონტიგენტი იმის გამო, რომ ისინი სულ უფრო მეტს სტუდენტს იღებენ ან მეტი სტუდენტის მოსაზიდად ძალისხმევას არ იშურებენ. ისეთი ინიციატივები, როგორიცაა „ევროპის უნივერსიტეტების ინიციატივა“ და მობილობის პროგრამები კამპუსებს კულტურული თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანს ხდის, რის გამოც საჭიროა აკადემიური მიდგომების კორექტირება. აკადემიურ სამყაროში, სულ უფრო აქტიურად მსჯელობენ ინკლუზიურობის განხორციელების ზომებზე, რაც ერთს ცხადყოფს - აკადემიური დაწესებულებები სულ უფრო მეტ ყურადღებას მიმართავენ მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობაზე.

პოლიტიკის გავრცელების არეალი

წინამდებარე პოლიტიკა შეეხება კავკასიის უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ა.შ.

CU თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის დეკლარაცია (EDI)

მისია, ღირებულებები, სტრატეგია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მორალური ღირებულებების მატარებელი და დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

CU ღირებულებები არის ინოვაციური სული; მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა; აკადემიური თავისუფლება; ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე; ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა.

მრავალფეროვნება და ინკლუზია ყველა საუნივერსიტეტო პროცესის ნაწილია. CU ცდილობს ადგილობრივ საზოგადოებას შეუქმნას შესაძლებლობა ურთიერთობა იქონიოს, გაუგოს და პატივი სცეს იმ ადამიანებს, რომელთა თვალსაზრისი, ღირებულებები, რწმენა, ტრადიციები და მსოფლმხედველობა სხვადასხვა გამოცდილებამ და წარსულმა შექმნა. მხოლოდ სხვადასხვა წარმომავლობისა და შეხედულების მქონე ადამიანებთან დიალოგის საშუალებით შეძლებს CU გარკვეული წარმოდგენების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას და თანამედროვე სამყაროს შესახებ არსებული თვალსაწიერის გაფართოებას. CU-ს ერთგულებს თანასწორობასა და მრავალფეროვნებას, რითიც იგი ცდილობს აღმოფხვრას უსამართლო დისკრიმინაცია და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის დაცვას. თანასწორობისკენ სწრაფვა ყველა ადამიანის სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას და სწავლისა და ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას გულისხმობს, რომელშიც ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას,

ღირსებასა და ინკლუზიურობას. ეს ინკლუზიური პროცესი ყველასგან გარკვეულ წვლილს მოითხოვს - აქ თავი ყველამ ღირებულად, პატივცემულად და ჩართულად უნდა იგრძნოს; უნივერსიტეტი მხოლოდ ასე შეუწყობს ხელს კულტურულ ურთიერთობებსა და მოიპოვებს ნდობას მთელ მსოფლიოში.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს, რომელთაგან ერთ-ერთი - ინტერნაციონალიზაცია მრავალ განზომილებას მოიცავს და გლობალურად ინკლუზიური და კულტურულად მრავალფეროვანი აკადემიური გარემოს შექმნას გულისხმობს. ამ სფეროთა შორისაა:

აკადემიური პროგრამები: ერთობლივი და ორმაგი საფეხურის პროგრამები; უცხო ენების სწავლების კურსები; საზღვარგარეთ სწავლა და გაცვლითი პროგრამები.

- კვლევა და თანამშრომლობა: საერთაშორისო კვლევითი პარტნიორობა; ერთობლივი კვლევები; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.
- აკრედიტაცია და ხარისხის საერთაშორისო უზრუნველყოფა.
- სტუდენტების, მასწავლებლებისა და პერსონალის მობილობა
- საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა: საერთაშორისო სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა; კულტურული გაცვლითი პროგრამები და ა.შ.

CU EDI პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს ეყრდნობა:

- მრავალფეროვნების პატივისცემა
- სამართლიანობისა და სამართლიანი მოპყრობის ვალდებულება
- ყველას ინკლუზიურობის უზრუნველყოფა
- ადამიანის დახმარება და ხელშეწყობა თავისი პოტენციალის სრულად მიღწევაში

მიზნები

- მრავალფეროვანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა - დასაქმებისა და თანამშრომელთა შენარჩუნების სტრატეგიების განხორციელება, რაც სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და პერსონალის კონტიგენტს უფრო მრავალფეროვანს ხდის:
  - დასაქმების მიზნობრივი სტრატეგიების შემდგომი შემუშავება კანდიდატების (სტუდენტებისა და პერსონალის/პროფესორ-მასწავლებლების თანამდებობებზე) მრავალფეროვანი ჯგუფების მოსაზიდად (მაგ. სქესის დაბალანსება და ა.შ.)
  - კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადამიანთა რასის, ეთნიკური, რელიგიის, სქესის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად
  - თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა თანაბარი ან მსგავსი ღირებულების მქონე სამუშაოზე, განურჩევლად რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციისა.
- თანაბარი სწავლისა და სამუშაო გარემოს ხელშეწყობა: ისეთი პოლიტიკური კურსების, პროცედურებისა და პრაქტიკის შემუშავება, რომლებიც ხელს უწყობს თანასწორობას, აღკვეთს დისკრიმინაციას, შევიწროებას და მასთან დაკავშირებულ ინტერპერსონალურ ძალადობას.
  - საფუძვლიანი შეფასებების წარმოება მოქმედ პოლიტიკაში არსებული ხარვეზების ან გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად

    - უკუკავშირის მიღება თანამშრომლებისგან, სტუდენტებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისგან იმისათვის, რომ პოლიტიკის შემუშავებისა და გადასინჯვის პროცესში გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა თვალსაზრისი.
    - პოლიტიკის განახლებების შესახებ ინფორმირება იმისათვის, რომ ორგანიზაციისა და სასწავლო საზოგადოების ყველა წევრს ეცნობოს, რომ მათ მოეთხოვებათ თანასწორობის ხელშეწყობა და დისკრიმინაციისა და შევიწროების აღკვეთა
- EDI-ს შესახებ ცნობიერების ამაღლება: განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის მნიშვნელობის გასააზრებლად და მის სათანადოდ შესაფასებლად.
    - თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის რეგულარული ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის შესახებ. განხილულ უნდა იქნას ისეთი თემები, როგორიცაა: არაცნობიერი მიკერძოება, კულტურული კომპეტენცია, დისკრიმინაცია და შევიწროების პოტენციური წყაროები, რათა მოხდეს უნივერსიტეტის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობა: პარტნიორობა და თანამშრომლობა ფართო საზოგადოებასთან, რაც ცხადყოფს უნივერსიტეტის თავდადებას თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
    - შემდგომი თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ პარტნიორებთან EDI პრინციპების ხელშეწყობის მიზნით.
    - თანამშრომლობის გაგრძელება WEP-თან და PRME-თან და CU-ს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ ეკოსისტემის შემდგომი დახვეწისთვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

CU-ს პასუხისმგებლობა, მონიტორინგი EDI პოლიტიკის შეფასება

EDI პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს და მის შეფასებას ზედამხედველობს კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი კომიტეტი/ომბუდსმენის ოფისი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს აუცილებელ კორექტირებას. კომიტეტი ყოველწლიურად მიმოიხილავს EDI პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობას და დასკვნებს აცნობს უნივერსიტეტის საზოგადოებას.